



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 84

2014 წლის 01 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო - და ვინჩი“ გამოცხადებისა და  
კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ

„ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“  
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის N98 დადგენილებით  
დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -  
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების  
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010  
წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2  
პუნქტის „ბ“ „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ნორჩ გამომგონებელთა კონკურსი ლეონარდო და ვინჩი“;
2. დამტკიცდეს ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ პირობები ამ  
ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების  
დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს პროექტის აღწერილობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის  
შესაბამისად;
5. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის  
დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, თამარ ბოკუჩავას, წინამდებარე ბრძანების  
საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge);
6. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე;
7. ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ.  
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.  
თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.N6)

მარინე ჩიტაშვილი

დანართი №1

დამტკიცებულია

სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო  
ფონდის გენერალური დირექტორის  
2014 წლის 27.12 № 89 ბრძანებით

ნორჩ გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“

## კონკურსის პირობები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“-ს (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ხელი შეუწყოს სწავლის დონის ამაღლებას, ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას; კონკურსი ღია და თანასწორი კონკურენციის პირობებში გამოავლენს და წაახალისებს გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებს, სტიმულს მისცემს მათი შემოქმედებითი აზროვნების, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

2. კონკურსი ტარდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის N98 დადგენილებითა და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

3. კონკურსის ადმინისტრირებას ახდენს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი).

### მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც 2014-2015 სასწავლო წელს არის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე და 2015 წლის პირველი მაისისათვის არ შესრულებია 20 წელი.

2. კონკურსში განაცხადების შემოტანა შეიძლება ინდივიდუალურად და ჯგუფურად. ჯგუფის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს. კონკურსზე პროექტის დარეგისტრირების შემდეგ ჯგუფის წევრთა ცვლილება დაუშვებელია.

3. ერთი და იგივე პირი ვერ იქნება საკონკურსოდ წარდგენილი ორზე მეტი განაცხადის ავტორი ან თანაავტორი.

4. საკონკურსოდ არ განიხილება პროექტი, რომელმაც საპრიზო ადგილი დაიკავა ან გაიმარჯვა ფონდის ამ, ან სხვა ორგანიზატორის მიერ ადრე ჩატარებულ მსგავსი შინაარსის მქონე კონკურსში.

### მუხლი 3. საკონკურსო განაცხადების წარდგენა

1. საკონკურსო განაცხადი უნდა შეიცავდეს გამოგონების ტექსტურ აღწერილობასა (იხ. დანართი 3) და ილუსტრაციას ნახაზის/მოდელის/მაკეტის სახით.

2. კონკურსის მიზნებისთვის გამოგონებად ჩაითვლება იმ ტექნიკური პრობლემის ახლებური გადაწყვეტის იდეა, რომელიც შეიძლება ეხებოდეს პროდუქტს, ან პროდუქტის მიღების ტექნოლოგიას.

3. გამოგონებად არ მიიჩნევა „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ობიექტები. ესენია:

ა) აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია, მათემატიკური მეთოდი;

ბ) მხატვრული ქმნილება;

გ) ალგორითმი, კომპიუტერული პროგრამა;

დ) აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდი, თამაშობის, გათამაშების წესები;

ე) საქმიანობისა და ორგანიზების მართვის მეთოდი;

ვ) ნაგებობის, შენობის, ტერიტორიის დაგეგმარების პროექტი და სქემა;

ზ) ინფორმაციის წარდგენა.

4. საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე.

5. ილუსტრაციის სახით თანდართული ნახაზ(ებ)ი შესაძლებელია შესრულებული იყოს ნებისმიერი ფორმატის ფურცელზე. ნახაზისთვის შეიძლება გრაფიტის ფანქრების, ფერადი ფანქრების, ფლომასტერების, აკვარელების გამოყენება. შესრულების სტილი არ არის შეზღუდული. საკონკურსო განაცხადს უნდა ერთვოდეს საილუსტრაციო მაკეტი/მოდელი/ნახაზი. დასაშვებია საილუსტრაციო ნახაზის ან მოდელი/მაკეტის წარმოდგენა სპეციალური კომპიუტერული ტექნოლოგიების/პროგრამების გამოყენებით.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებმა განაცხადი უნდა დაარეგისტრირონ ფონდის ელექტრონულ ბაზაში. ფონდის ელექტრონულ ბაზაშივე უნდა აიტვირთოს პროექტის აღწერილობისა და საილუსტრაციო მაკეტის/მოდელის ან/და ნახაზის შემცველი ელექტრონული ფაილები (ფოტოები). დასაშვებია ნახაზების დასკანერებული ვარიანტის ატვირთვა. განაცხადის დარეგისტრირების შემდგომ მონაწილეებმა უნდა ამოებჭდონ შევსებული „განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი 2) და ხელმოწერილი სახით (საილუსტრაციო ნახაზთან /მოდელთან/მაკეტთან ერთად) წარადგინონ ფონდში, ხოლო რეგიონებში მცხოვრებმა მონაწილეებმა-ფონდში, ან შესაბამისი რაიონის რესურს-ცენტრში.

7. პროექტის აღწერილობის ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს MS Word-ის ტექსტური რედაქტორის გამოყენებით, ქართული უნიკოდის მეშვეობით, ზომა 11-12, ინტერვალი 1.5. პროექტის აღწერილობის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას და უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) პროექტის მიზანი;

ბ) გამოგონების აღწერა;

გ) გამოგონების ტექნიკური დეტალები;

დ) დასკვნა.

8. საკონკურსოდ არ განიხილება პროექტები, რომლებიც წარმოადგენენ სასწავლო პროცესისათვის საჭირო სადემონსტრაციო საშუალებას, თვალსაჩინოებას ან დამხმარე ინსტრუმენტს და ასევე, ამ კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ობიექტებს.

#### მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

1. საკონკურსო განაცხადების ამ კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტთან შესაბამისობის დადგენას ახორციელებს ტექნიკური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ქმნის და საქმიანობის წესს განუსაზღვრავს ფონდის გენერალური დირექტორი.
2. საკონკურსო განაცხადების შეფასებასა და გამარჯვებულის გამოვლენას ახორციელებს საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ.
3. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე მოხსნას საკონკურსო განაცხადი, რომელიც არ შეესაბამება კონკურსის პირობებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
4. საკონკურსო კომისია შერჩევას ახორციელებს სამ ეტაპად.
5. პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისია განაცხადებს შეაფასებს ამ კონკურსის პირობების მე-5 მუხლში მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და განსაზღვრავს გამოფენის მონაწილე პროექტების სიას, მათ შორის კონკურსის მეორე ეტაპზე გასულ პროექტებს.
6. კონკურსის მეორე ეტაპზე გასული მონაწილეები საკონკურსო კომისიის წინაშე წარდგებიან ხანმოკლე პრეზენტაციით თავიანთი გამოგონების შესახებ. კომისია შეარჩევს საუკეთესო ნამუშევრებს მესამე ეტაპზე გადასასვლელად.
7. მესამე ეტაპის მონაწილეთა შორის საკონკურსო კომისია გამოფენაზე გამოავლენს გამარჯვებულებსა და სპეციალური პრიზების მფლობელებს. კერძოდ, გამოვლინდება შემდეგი საპრიზო ადგილები: გრანპრი, პირველი, მეორე და მესამე ადგილი. გრანპრით დაჯილდოვებული პროექტის ავტორი გაემგზავრება საზღვარგარეთ შემეცნებითი ტურით. პირველ ადგილზე გასული პროექტის ავტორი დაჯილდოვდება 5000 ლარით, მეორე ადგილზე გასული პროექტის ავტორი - 3000 ლარით, ხოლო მესამე ადგილზე გასული პროექტის ავტორი - 2000 ლარით. ჯგუფურად წარმოდგენილი პროექტების დაჯილდოვების შემთხვევაში საპრიზო თანხა თანაბრად იყოფა ჯგუფის წევრებს შორის.
8. კომისიის მიერ გამოავლენილი გამარჯვებული პროექტების ავტორები საქართველოს სახელით მონაწილეობას მიიღებენ ინტელის საერთაშორისო სამეცნიერო-საინჟინრო გამოფენაში - Intel ISEF.
9. საკონკურსო განაცხადების ფონდის ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის, გამოგონების აღწერილობისა და საილუსტრაციო მაკეტის/მოდელის/ნახაზის შემცველი ელექტრონული ფაილების ატვირთვა შესაძლებელი იქნება 2014 წლის 8 ოქტომბრიდან 2014 წლის 3 ნოემბრის 24:00-მდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ფონდის ელექტრონული ბაზა დაიხურება განაცხადების რეგისტრაციისათვის.
10. ხელმოწერილი „განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ“, ისევე, როგორც საილუსტრაციო ნახაზი/მოდელი/მაკეტი რაიონულ რესურს-ცენტრში წარდგენილი უნდა იქნას არაუგვიანეს 7 ნოემბრის 18:00-მდე.
11. ხელმოწერილი „განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ისევე, როგორც საილუსტრაციო ნახაზი/მოდელი/მაკეტი ფონდში წარდგენილი უნდა იქნას 13 ნოემბრის 18:00-მდე.
12. საკონკურსო კომისია გამოავლენს მეორე ეტაპზე გადასულ კონკურსანტებს არაუგვიანეს 18 ნოემბრისა.
13. საკონკურსო კომისია გამარჯვებულებს გამოავლენს არაუგვიანეს 6 დეკემბრისა.

## მუხლი 5. საკონკურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები

საკონკურსო კომისია საკონკურსო განაცხადების შეფასებისას იხელმძღვანელებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- ა) გამოგონების სიახლე/ორიგინალურობა;
- ბ) გამოგონების აღწერილობისა და თანდართული თვალსაჩინოების ინფორმატიულობა;
- გ) გამოგონების აქტუალურობა;
- დ) გამოგონების პრაქტიკული გამოყენებადობა/რეალიზებადობა;
- ე) გამოგონების ტექნიკური გამართულობა.

## მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირების ხარჯები

1. კონკურსთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას უზრუნველყოფს ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

2. ფონდის მიერ შესაძლებელია დაიფაროს შემდეგი ხარჯები:

- ა) კონკურსის სარეკლამო-საიმიჯო ბანერების დამზადება და განთავსება საინფორმაციო პორტალებზე, ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში;
- ბ) სარეკლამო ვიდეო რგოლის საინფორმაციო პორტალებზე, ტელე-ეთერში განთავსება;
- გ) გრანპრით დაჯილდოვებული პროექტის ავტორის შემეცნებითი ტურის დაფინანსების ხარჯი და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობისათვის შერჩეული კონკურსანტების საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებული ხარჯი (ფონდის მიერ შესაძლოა დაფინანსდეს ვიზის, მგზავრობის, უცხოეთში ყოფნისას საცხოვრებელი და სადღეღამისო ხარჯები);
- დ) კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული მოსწავლეთათვის გადასაცემი საპრიზო ფონდის ხარჯი;
- ე) მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენის მონაწილეთათვის ფასიანი საჩუქრების ხარჯი;
- ვ) საიმიჯო პროდუქციის ხარჯი;
- ზ) მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისა და დაჯილდოვებისთვის დარბაზის დაქირავებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვის ხარჯი;
- თ) სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

## განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს

გთხოვთ, ნორჩ გამომგონებელთა კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“ განიხილოთ ჩემ/ჩვენ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი.

№:

1.	პროექტის დასახელება	
2.	ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი: პირადი ნომერი, სკოლა, კლასი	
3.	ავტორ(ებ)ის საკონტაქტო ინფორმაცია	
4.	ვიზუალური მასალა	მაკეტი მოდელი ნახაზი
5.	არის თუ არა პროექტი გამარჯვებული	კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“ სხვა კონკურსში

წინამდებარე განაცხადით ვადასტურებ(თ), რომ გავეცანი(თ) ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“-ს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის № 98 დადგენილებას, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულ კონკურსის პირობებს და ჩემი/ჩვენი ხელმოწერით ვაღიარებთ მათ სავალდებულო დაცვას. ვადასტურებთ ჩემ/ჩვენ მიერ წარმოდგენილი განაცხადის ავტორობას. მოწოდებული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთანავე, ვაღიარებ(თ), რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი განაცხადი კონკურსიდან.

პროექტის ავტორ(ებ)ი:

(ხელმოწერები)

დანართი №3  
დამტკიცებულია  
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო  
ფონდის გენერალური დირექტორის  
2014 წლის 07.10 № 29 ბრძანებით

**პროექტის აღწერილობა**  
(მაქსიმუმ 250 სიტყვა)